

წითელმიწები - Roterden

წითელმიწების საერთო ფართობი შეადგენს 1,2 % (81.310 კა). ეს ნიადაგები გავრცელებულია ტენიანი სუბტროპიკული ზონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (აჭარა, გურია), აგრეთვე გვხვდება სამეგრელოსა და აფხაზეთში. ამ ნიადაგების ძირითადი დიაგნოსტიკური მახვენებლებია წითელი შეფერილობა, გათიხება და მძლავრი პროფილის არსებობა. ნიადაგის პროფილს აქვს შემდეგი აგებულება: A-AB-B-BC-C. წითელმიწები ხასითდება მჟავე რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით და ღრმა ჰუმუსირებით, ჰიგროსკოპული წყლის საშუალო შემცველობით, მოცულობითი წონით 1,19-1,34 ფარგლებში, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, შთანთქმის საშუალო და მაღალი ტევადობით, არამაძვრობით. ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) და ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, მდიდარია (0-10) და საშუალოდ უზრუნველყოფილია (10-20) შთანქმეული ფოსფორით და ღარიბია (10-20) გაცვლითი კალიუმით. მცენარეული საფარის დარღვევის შემთხვევაში იზრდება ეროზიული პროცესების საშიშროება. ჩვეულებრივ გაბინძურებულია რადიონუკლიდებით.

Die Roterden bedecken 1.2% (813,1 qkm) Georgiens. Diese Böden findet man im südwestlichen Teil der feuchten subtropischen Zone (Adjara, Guria), ebenso in Samegrelo und Afkhazeti. Hauptdiagnostisches Zeichen jener Böden ist die rote Farbe, Tonanreicherung und tiefgründige Profile. Das Bodenprofil hat oft folgenden Aufbau: A-AB-B-BC-C. Die Böden sind charakterisiert durch eine saure Reaktion, einen mäßigen Gehalt an Humus, ebenso an hygroskopischem Wasser, eine Dichte zwischen 1,19-1,34, durch eine lehmige oder tonige Körnung, eine mittlere oder hohe Absorptionskapazität, ungesättigt. Die Böden sind mittel (0-10cm) versorgt oder arm (10-20cm) an hydrolisierbarem Stickstoff, sind reich (0-10cm) und mittel (10-20cm) versorgt an mobilem Phosphor und arm (10-20) an austauschbarem Kalium. Im Falle der Schädigung der Vegetationsdecke kommt es zur Erosionszunahme. Die Böden werden oft von radioaktiven Nukleiden verunreinigt.

